ეშმაკის მათრახი

იუმორისტული ჟურნალი № 4

23 იანვარი 1911 წ. ფასი 10 კაპ.

ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ა

1173

ქ უ თ ა თ უ რ ი „ბ ა ლ ვ ა ნ ი“



ქუთათურ ხმოსნებს,
ბძენთ, პატიოსნებს,
სჭირთ „თავის“ ადგილს
ცარიელობა.
კაცი ვერ ნახეს,
რომ იმათ სახეს
ერგოს, იკისროს
„თავის“ ხელობა.
ბევრი იფიქრეს,
ბევრი იღონეს...
ბოლოს ეგ ხერხი
გამოიგონეს:
მონახეს სადღაც
დიდი „ბალვანი“ *)
გარს შემოერტყენ
ვით გალავანი,
და მოუწოდეს
ყველა მექუდეს,
ხომის ალიბა
ვისაცა სურდეს.
შეხედა ერთმა
და გაიპარა...
მეორემ, ახლო
ნახვაც ივარა...
სთქვა: „რას მატყუებთ,
აგი რას გავსო,
ამ „საბალვანოს“
ად ნახავ თავსო“

—კი.

---

*) „ბალვანი“ ქუდის დაურჯაკს ჰქვია.
ეშმაკი.

ეშმაკის ინტერვიუ

„თემზი“

„ურია წყალს მიჰქონდაო, გზაც იქით ჰქონდაო“. მარტო უბრალო ინტერვიუსათვის არ შევსულვარ პატივცემულ „თემის“ რედაქტორ-გამომცემელთან.

ბ-ნი გრიგოლი, ეს განხორციელებული ოცნებაა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, თვით მისივე მოხდენილი სიტყვები რომ ვიხმაროთ, ის „ცხადია მის ოცნებათა აჩრდილისა“!

აღელვება და საქმიანობის მწუხრი ყოველთვის აზის წაუშლელ ნიშნად გრიგოლის მოუსვენარ მოხაზულობას, მაგრამ დღეს, დიახ დღეს, იგი განსაკუთრებულ მღელვარებათა ცხადს (თუ აჩრდილს!) განიცდიდა. მართალი მოგახსენოთ, მე თითონაც დიდი მოყვარული ვარ, როგორც ყოველგვარი მღელვარებისა, აგრეთვე მისი აჩრდილისა და აჩრდილის ცხადისა, თორემ, თუ არ ეს ჩემი მიდრეკილება, უთუოდ უკანვე უნდა გამოვბრუნებულიყავი უპურმარილოთ.

— ოჰო! ეშმაკს გაუმარჯოს! ჩვეულებრივის ალერსიანობით შემეგება მასპინძელი.

— გაუმარჯოს „თემის“ მბრძანებელს! ვითომ ვიხუმრე, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ ეს ხუმრობა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იმ უკბილო ოხუნჯობას, როგორსაც „სახალხო გაზეთის“ გარდანქეშანი ასაღებს ხოლმე. ვიგრძენი და შემრცხვა. სირცხვილიც ხომ კაი საქონელია!

— შენც გინდა კბილი გაგვკრა? ჩვენ სხვა მტრებიც გვეყოფა, ეშმაკო და უხილავო.

— ვერაფერი გავიგე. რომელ მტრებზედა ბრძანებთ?

— რა გითხრა! სიმართლე ვთქვა მტერი არც ეთქმის, მაგრამ როცა მოყვარე მოყვარეს ველარ ცნობილობს, მტერზედ უარესი ხდება.

— კიდევ ვერაფერი გავიგე ვინა გყავს სახეში.

— არ წაგიკითხავს, კაცო, „სახალხო გაზეთი“ როგორ მტრულათ შემოგვეგება?

— ნუ თუ?!

— მაშ, კაცო! მოდი და გული ნუ გეტკინება, როცა ასეთ ტლანქ მოსაზრებასა ხედავ ქართულ გაზეთში. დღეს ჩემთვის ცხადზე უცხადესი შეიქნა, რომ ქართველი ხალხი ძლიერ ჩამორჩენილია კულტურის გზაზე და რომ ამისათვის საჭიროა სასტიკი... შუამდგომლობა...

— ვითომ რას გესაყვედურებიან?

— ეშმაკმა იცის იმათი თავი! აქაო და ჩვენმა წინაპრებმა რომი გადაარჩინესო, თითონაც ბატებათ მოაქვთ თავი!

— ახირებული პრეტენზიაა თქვენ მზესა ვფიცავ! სასაცილოა, როცა ჩვეულებრივი ქართული ბატი ისტორიულიული წინაპრებით დაიწყებს ამაყობას და ყოყოჩობას. რისთვისაო? რატომაო? განა მარტო იმ მოსმზრებით, რომ ესენიც ბატები არიან და შემთხვევით იმ ბატთა ჩამომავალნი?

— საქმეც ის არის, რომ ესენი ისე გვანან იმ ისტორიულ ბატებს, როგორც „მწუხრი განთიადსა, უსულო სულიერსა და აჩრდილი მის ცხადსა“. ჰოდა, აი ეს ნაშთები გვიკიჟინებენ ჩვენ უპრინციპობას.

მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ვიფიქრე: ნუ თუ მართლა, თუნდაც „ისტორიულ ბატთა ნაშთებმა“, ასეთი უსამართლო, ასეთი აშკარა უკულმართი მოსაზრება გამოსთქვეს-მეთქი. კარგათ ვიცნობ დღევანდელ საცენზურო პირობებს, ვიცი რისი გამოთქმა შეიძლება, რომ რედაქცია არ დახურონ, ან რედაქტორი არ დაატუსაღონ, მაგრამ თუ ამისი გამოთქმაც შეიძლებოდა, ეს აღარ მეგონა.

გრიგოლ დიასამიძე და უპრინციპობა! ოჰ ღმერთო ჩემო! განა ყველა პრინციპი მისი პრინციპი არ არის? განა არის რაიმე პრინციპი გარეშე მისსა? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი დროჟამი, ისეთი წუთიერი მომენტი, ისეთი მდგომარეობათა კომბინაცია, როცა ბ-ნ გრიგოლს თუნდა ერთი დიუჟინი პრინციპი მაინც არა ჰქონდეს თანა? ეს ისეთივე შეუძლებელი რამეა, როგორც ერთ რაიმე პრინციპზე მისი შეჩერება. და აი, შემდგომად ამისა საქართველოში არსებობს ისეთი ორგანო, (თუნდაც „ისტორიულ ბატთა“ ჩამომავლობისა) რომელიც ამგვარ ადამიანს და მის ორგანოს „უპრინციპობას“ უკიჟინებს. გრცხვენოდეთ ბ-ნებო, გრცხვენოდეთ!

— რატო ეგეთი ნაფითრი ფერი დაგედოთ, ბატონო ეშმაკო!

— არაფერია, გაივლის! გული მატკინა „საალხო გაზეთის უსამართლობამ.

— მაშინ სთქვეს, თორემ მეორე დღესვე ბოდიში მოიხადეს. ჯერ სრულიად არ დაუკარგავთ წინაპართა რაინდული ზნე-ჩვეულებანი.

— ბოდიშიც მოიხადეს?

— მოიხადეს მაშ!

ცოტათი გული მომილბა! ვიფიქრე: რაკი ბოდიში მოიხადეს, ცხადია სრულიად არ გამქრალა მათი ისტორიული მემკვიდრეობითი ნაშთები-მეთქი. რედაქციის ხელმძღვანელებმა ხომ მარტო უსამართ-

ლო აზრთა მთესველობა არ უნდა იცოდენ, საქირო დროს ბოდიშიც უნდა მოიხადონ.

ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვიმუსაიფეთ ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო კითხვათა შესახებ და მადლიერი დავბრუნდი შინისკენ.

ეშმავი.

არ მომკვდარა!..

(მიბაძვა).

ჩემო სატრფოვ, ლამაზო, თმა ხუჭუჭო,
საუკუნოთ თვალები არ დახუჭო!
მე მგონია, ძილს განიცდი, სიზმარსა,
გაიღვიძებ, მხოლოთ უცდი ცისკარსა.
ხანგრძლივ ძილში, ვაჰმე, არ გაიპარო
და სიობლით გული არ დამიძმარო!
არა... ვიცი, თავს დაახწევ სიზმარსა,
გაიღვიძებ, მხოლოთ უცდი ცისკარსა.
ზარს ჩამოჰკრეს' ვაჰ, არ იყოს გლოვისა,
საუკუნოთ „მასთან“ გამეთხოვისა!
არა... ის ხმა... ის გაუფრთხობს სიზმარსა,
გაიღვიძებს: ელოდება ცისკარსა.
ჩუ! აკვნესდა სევდიანათ ბულბული:
„სატრფო მოკვდა; ვარო დაობლებული!!!“
ჩემი სატრფო არ მომკვდარა! სიზმარსა
თავს დაახწევს, ელის თავის ცისკარსა.
მო, ცისკარო, შენის წითელ ალამით!
და მეც შემოგეგებები სალამით!
ჩემი სატრფოც მაშინ დასძლევს სიზმარსა,
როს იხილავს პირ გაბადრულ ცისკარსა.
„არ მომკვდარა,„მხოლოთ სძინავს“.. შეიტყვეთ?!
აწ შენ, გულო, მძიმე სევდის ნუ ხარ ტყვეთ!
შენი სატრფო თავს დაახწევს სიზმარსა,
გაიღვიძებს, როს იხილავს ცისკარსა.
ზარს ჩამოჰკრეს! მესმა ხმა განთიადის!
ჩაქვესკნელდა შავი კუბო წყვდიადის...
ჩემი სატრფოც თავს ანებებს სიზმარსა,
პირმცინარი ეგებება ცისკარსა!..

ნ ზომლეთელი

დეპეშები.

ჭიათურა. ადგილობრივ ბანკის ბუხგალტრის თანაშემწეს თ—რე გ—შვილს განუზრახავს გამოიწეროს თფილისიდან საუკეთესო მაგარი ღვინოები, რადგან აქაური თხელი ღვინო იმდენათ გლახათ მოქმედობს, რომ აქამდის მხოლოდ ხიდის მოაჯირისა და ერთი „ტრახტირის“ დამტვრევა მოასწრო. მართალია მას ამისათვის პრემიაც მიართვეს, მაგრამ კაცის გული ხარბია და განუძღომელი. ეს ეცოტავება, უნდა რამე საგმირო, სატარიელო საქმე მოაგვაროს.

ყვავი.

სამტრედია. დიდი თოვლის გამო დიდი სიცივეები ჩამოდგა. ხალხი ღამის გაიყინოს. ამის გამო ახლად ჩამოსული ბოქაული დიდის ენერგიით ახურებს საზოგადოებას სხვა და სხვა გვარი მასსაჟებით.

სამტრედია. ბედნიერი სროლა! ამ დღეებში აქ ისეთი სროლა ასტეხეს „სტრაჟნიკებმა“, რომ ძველი დრო მოგაგონდებოდა. ხალხი, გულგახეთქილი და დაშინებული საჟენიან თოვლში იმალებოდა. გამოირკვა... იცით რა გამოირკვა? გამოირკვა რომ „უჩასტკის“ ბოქაულს ვაჟი შესძენოდა და გარდა ამისა სხვა არავითარი უბედური შემთხვევა არ ყოფილიყო.

კულაში. სიცრუე გამოდგა „ბოროტი ენების“ მიერ გავრცელებული ხმა, თითქო კულაშის სამკითხველო ვირ-თაგვებს ჩაეთრიოს სოროში. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ვირ-თაგვებს ეს მტაცებლობა მოუხდენიათ ვასო აბაშიძისა და სამკითხველოს გამგის ჭიდაობის დროს. დროს შერჩევაც ასეთი უნდა. მაგრამ რაღა დროს შერჩევა, როცა რომ ეს ვაჟბატონები მუდამ ჭიდაობენ და კოზაკზე აღარ ფიქრობენ.

სამტრედია. თოვლის მწმენდელებმა გაფიცვა გამოაცხადეს. თხოულობენ ხელფასის მომატებას და სამუშაო დღის შემცირებას. როგორც მიხაკო დეისაძე ამბობს, თუ შეთანხმება არ მოხდა, გაფიცვა ივლისის დამლევამდე გასტანს.

ახია.

მოსკოვი.

ადგილობრივმა ქართულმა კულტურულმა წრემ ამ მოკლე ხანში შემდეგი გამოაცხადა: ა) წევრათ მივიღებთ ყველა ქართველ სტუდენტებს, ვინც არასოდეს კრებას არ დაესწრება, ბ) ვინც ქართული არც ლიტერატურა იცის არც ისტორია, არც აწმყო, არც წარსული და არც უნდა იცოდეს; გ) ვინც მუდამ რუსულათ ლაპარაკობს და ქართული „არ ეხერხება“ (და არც უნდა ეხერხებოდეს), დ) ვინც თავის თავს მხოლოთ მაშინ უწოდებს ქართველს, როცა ქალებს ეარშიყება. (მოგეხსენებათ „გრუზინს“ სილამაზის ბირჟაზე და ვნებათა დაუცხრომელობაში რუსის ქალები ძალიან აქებენ) ე) და ყველა იმათ, „ვინც „სამშობლოზე“ ყოველ წუთს მზათაა რუსულათ გეტიტყინოს და როცა კი საქმე-საქმეზე მიდგება მაშინ „რა ვქნა, სამსახურის კაცი ვარო“ გეტყვის.

ეშმაკიძე.

შევჩენაკოდან.

დღე დღესა მარხავს და ღამე ღამეს,
განვეთიშევი შავ თვალებს, ზაფხულს...
მწვანე ფოთოლი ხეს ჩამოაჭანა,
ფიქრს მიელულა, ჩაეძინა გულს.
ყველაფერს სძინავს... ნეტავ ვიცოდე,
თუ ჩემი სული სცოცხლობს, არ გაქრა?
გულმკვდარი ვუცქერ ქვეყნიერებას:
ველარ ვიცინი და ცრემლიც გაშრა.
სად არის ამ დროს ის ჩემი ბედი?
ნუ თუ განგებამ აღარ მიჩინა?..
მაგრამ თუ კარგის არ ვიყავ ღირსი,
ბოროტმა მაინც სად მიიძინა?
ოჰ, განგებაო! გზა, გზა მიჩვენე,
ნუ დამიმიწებ ფუჭად ამ ჩემს გულს,
ნულარ მომაკლებ სახელს კაცისას,
ნუ, ნუ გამაქრობ უსარგებლოთ კრულს!
საზარელია, ზეცავ, მონობა,
უარეს ძილი თავისუფალის...
ვინც ამ ქვეყანას უკვალოთ სტოვებს,
მისი სიცოცხლე სიკვდილი არის

ვ. მალაქიაშვილი.

თაგუნას რომანი

რომელიმე ნაწილიანი, ფრიად სენსაციური და ერთობ ნიჭიერათ დაწერილი.

ნაწილი პირველი.

კარი I,

ხშელიც მოზარდ თაობას და კვემოთსილ ქალწულებს არ წაეკითხებათ.

— ახლა კი კმარა, დროა! გაიფიქრა მან და ...ევლათ მოწყდა ქეთევანის ნორჩ გულ-მკერდს. ...ი საოცნებო ღამე დიდი ხანია არ გაუტა...

— ნახ... ვამდის, ჩემო ნექტარო! დაღამებამდის ...ველარ დავეხ... ...ფები შენს თაფლივით ტკბილს ბროლის მკერდს!

უკანასკნელ...ათ გადაავლო თვალი წელ-ზევით შიშველს მძინარე ქეთევანს და მოაგონდა სოლომონ ბრძენის სიტყვები:

„იყვნენ ძუძუნი შენნი, ვითარცა ტევანნი ვენახისანი“!

მერე მიაღწევს კი დაღამებამდის? მუდამ საფრთხესა და შიშში მყოფი, ულმობელი მტრებით გარს შემორტყმული, მტრებით, რომელნიც სანთლით დაეძებენ, რათა ერთის დაკვრით მოჰკლან, გასრისონ შეუბრალებლათ და შეუნანებლათ! რას ერჩიან საბრალოს? ვის რა ხელი აქვს მის ბედნიერებასთან! დეე, აცალონ, სანამ ულმობელი სიკვდილი არ მოვა, თავდავიწყებამდე სწოვოს კეკლუცი ქალის სიტკბოება!...

მაცდურმა აზრმა გაურბინა:

— იქნებ ჯერ ადრეა! არც კი გათენებულა კარგათ, მოდი ფეხებისაკენ ჩავცოცდე! ის იყო დაეპირა ჩაცოცება, რომ უეცრივ მძინარე ქალი შეიშმუშნა.

შეჩერდა სულ-განაბული. ერთი წუთი საუკუნეთ გაგრძელდა. გული საშინლათ უფეთქავდა და აზროვნების ნიჭი დაჰკარგა.

— ვაი, თუ გაიღვიძოს და დამინახოს... სიკვდილი! სიკვდილი!

მადლობა ღმერთს! საფრთხემ ჩაიარა. მძინარე ქალმა ერთი ღრმათ ამოისუნთქა და მარმარილოს მკლავი ლოგინიდან გადაუვარდა.

მადლობა ღმერთს, ჯერ კიდე ვცხოვრობთ! ფიქრობდა ის და ფეხ-აკრეფით მიცოცავდა საზაფხულო საბნის კიდეზე. თავბრუ ესხმოდა და ნამეტანი გაძღომისაგან გულის რევასაც გრძნობდა.

ჯერ შვიდასი ნაბიჯიც არ გაევლო, როცა უკანიდან რაღაც საეჭვო შრიალი მოესმა.

— ვაი, დავიღუპე, გაიფიქრა მან და გაციმცამდა.

— ახლა კი ველარ გადავრჩები. ეს ქურდული, შემპარავი შრიალი კარგს არაფერს მოაწავებს.

ბედს დაემორჩილა. მუდამ შიშსა და განსაცდელში ცხოვრებამ მის აზროვნებაში ფატალისტური შეხედულება გაამეფა.

— „ბედი ჩემი ზეცაში სწერია“—გაიფიქრა მან და თვალები ოთახის ჭერს მიაპყრო, რადგანაც ბაღლინჯოების ზეცა ოთახის ჭერია.

— თუ ახლა მიწერია სიკვდილი, ბედს მაინც ვერ წაუვალ: მოვკდები უდრტვინველათ!

— ხა-ხა-ხა! მოესმა გვერდით ხარხარი. მიიხედა და დაინახა ბასავით ძალზე გაბერილი, წითელ ქარვასავით გამსჭვირვალე ბაღლინჯო.

— ხა-ხა-ხა! ძალიან არ დაგაფრთხე? რა სასა-

ცილო იყავი! ხა-ხა-ხა!

გაბიაბრუებულმა ბაღლინჯომ უპირველეს ყოვლისა შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის გრძნობა განიცადა. შემდეგ ბრაზი მოერია და ქეთევანის სისხლი ყელში მოაწვა. მაინც და მაინც დასძლია თავს და ფილოსოფიური სიდინჯით შენიშნა:

— პატიოსანმა ბაღლინჯომ არ უნდა იკისროს თავის თანამემამულის წმინდა გრძნობათა სასაცილოთ აღება!

რათ წამოისროლა ეს მაღალ ფარდოვანი სიტყვები, თითონაც არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა კი, რომ რაღაც მეტათ ბრძნული და ღრმა აზრი წარმოსთქვა, უგუნებობამ გაუარა და მედიდურობისა და კმაყოფილებისაგან კიდევ უფრო გაიბერა და წითელი ფერი მუქათ შეიცვალა.

— უკაცრავათ, მაპატიე... წაილუღლუღა ახალმოსულმა და გაიფიქრა: რა შვენიერი ლაპარაკი იცის! როგორი ჭკვიანია! მთელს საბაღლინჯოში არ მოიძევა მაგგვარი ნიჭიერი ბაღლინჯო.

— წავიდეთ, გააწყვეტინა ფიქრი პირველმა. არა უშავს! მე ვიცი შენი ხასიათის ამბავი და სრულიად არა ვწყრები ცეტი ხარ და ეგ სიცეტე ხეირს არ დაგაყრის.

შერიგებული ბაღლინჯოები მეგობრულათ გაუდგენ თავიანთ გზას და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე თავიანთ შინ იყვენ, კედლის ჭუჭრუტანაში...

—

ამ ნაირი დასაწყისი მე არ მომწონს. უპირველეს ყოვლისა მე რეალისტი ვარ და, როგორც რეალისტი, უარ ვყოფ ხელოვნებაში ყოველივე სიყალბეს და სინამდვილესთან უთანხმოებას. აბა, სად გაგონილა ბაღლინჯოების ლაპარაკი? ესეც არ იყოს, ოცდა მეშვიდე საუკუნეში ბაღლინჯოებზე წერა მეტის მეტი თავხედობა და ანაქრონიზმია. ბაღლინჯოები დიდი ხანია გადაგვარდენ და მოისპენ. ფრანგებთან, ინგლისელებთან, გერმანელებთან და საზიზღარ რუსებთან ერთათ საქართველოს სტიქიურმა კულტურამ ბაღლინჯოებიც აღმოფხრა. ნადირ მუჟიკების და გამოფიტულ ფრანგების არსებობა შეწყდა: მათ ვერ გაუძლეს ძლიერი მოქიშპის იერიშს, ვერ შესძლეს დევის ნაბიჯით გაქანებულ ქართველთა კულტურის კვალ'ში ჩადგომა. ასეთი ბედი ეწია საერთაშორისო მხეცთ, ყოვლად უგვანო და ყოვლად საძულელ ბაღლინჯოებსაც. „სპარსეთის ფქვილი“ მხოლოდ პალიატივს წარმოადგენდა ბაღლინჯოებთან ბრძოლაში. კაცობრიობა თითქმის სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ჭეშმარიტათ, მიზეზიც იყო სასოწარკვეთილებისა: თავი დავანებოთ და ნუ მივიღებთ ანგარიშში უბრალო ხალხს, რომელიც ალბათ, ვერც კი ჰგრძნობდა სავსებით ბაღლინჯოთა უპირობას. საქმე კეთილშობილი და განათლებული ხალხია. და აი, რაღაც ყოვლად უგუნურსა და უსუსურ ტილს—ბაღლინჯოს უნდა ეწოვა და ესვა ყოვლად გონიერისა და კეთილშობილი ადამიანის კეთილშობილი სისხლი! შველა არსად იყო. ყველას დაეკარგა იმედი. ვინ იცოდა, თუ ამ დროს, თბილისის ერთ-ერთ ლაბორატორიაში ჩუმათ, მაგრამ მედგრათ მუშაობდა ჩვენი ცნობილი აღმოშჩენი გოჯასპირ ნაზველაშვილი. და აი, მაშინ, როცა საერთო სასოწარკვეთილებამ წვერვალს მიაღწია, გაისმა გაბედული და მრისხანე ხმა მეცნიერისა: „სიკვდილი ბაღლინჯოებს“! ამ გასაცვიფრებელმა აღმოჩენამ მოსპო კაცობრიობის დაუძინებელი მტერი და ამ ნაირათ ქართულმა კულტურამ ფრანგ-ინგლისელებთან ერთათ ბაღლინჯოებიც აღგავა პირისაგან ქვეყნისა. ეს მოხდა, როგორც მოგეხსენებათ, 2123 წლის თებერვალში. მას შემდეგ 5 საუკუნეზე მეტი გავიდა და რა უფლება მაქვს მე ჩემი რომანი ბაღლინჯოებით და ისიც მოლაპარაკე ბაღლინჯოებით დავიწყო. მაშ, ძირს ბაღლინჯოები! მეც თავს ვანებებ ჩემს უცნაურ გმირებს და ვიწყებ მეორე თავს, რომელიც წარმოადგენს ჩემი რომანის ნამდვილს დასაწყისს...

ი·აკჩნა.

(შემდეგი იქნება).

ზაფხულს.

ოჰ... ზაფხულო, სად ხარ ნეტა,
გამახარე მოდი მალ,
თორემ ზამთრის მკაცრ სიცივეს
ველარსად ვერ დავემალე.
გათოშილა არე-მარე,
ია, ვარდი, მინდორ ველი,
შესწყდა, მინდვრად აღარ ისმის,
ბულბულთ სტვენა სანატრელი.
ხეს ფოთოლი ჩამოსცვივდა,
კოკობს აჭკნობს მკაცრი ყინვა.
სიცივისგან გათოშილის
ისმის ირგვლივ ხალხის გმინვა.
მოდი მალე, რომ ბუნება
აყვავილდეს, გადიშალოს
და სასტიკი ზამთრის სუსხი
გაჰქრეს ქვეყნად-წაიშალოს.

გ. წყაროსპირელი.

მოხსენება ბათუმიდან.

კარგა ხანია მას შემდეგ, ჩემო ძვირფასო ეშმაკო, რაც შენთვის ჩემი მოხსენებანი არ წარმომიდგენია. მიზეზი ამისა, როგორც თვით მოგეხსენება, ერთი მხრით შენცა ბრძანდები და, მეორე მხრით მეც. შენ მით, რომ „ეშმაკის მათრახს“ კარგა ხანია, რაც თავი მიანებე (თუ მიგანებებინეს—ეს სულ ერთია), მერე „მათრახი და სალამური“ წარმოგვავლინე, მარა ისევ მალე წარავლინე. ჰო და, რაკი ასე აგეშაულა, ქობულეთლების თქმის არ იყოს, თაფალი, მეც გამიტყდა გული! ვიფიქრე: ცუდათ უნდა იყოს საქმე ეშმაკისა რაკი, მთელი ზაფხული უქმათ ხეტიალში გაატარა მეთქი, ავდექი და მივყუჩდი. მარა რაკი ვიხილე „ეშმაკის მახე“, გული აღარ მითმენს არ ავიღო ხელში ჩემი მათრახი და არ ჩამოუარო ჩემს სამწყსოს.

მარა აქ ერთი მცირეოდენი დაბრკოლება მეღობება წინ. ეს დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ სამწყსო აღარ არის. დიახ, პორტის ქალაქი ბათუმი დღეს თითქმის აღარ არის და რაც არის ისიც, მალე აღიგვება პირისაგან შავი ზღვისა. განგებამ აღარ აკმარა ბათუმს, რომ მოსპო მისი აღებ-მიცემობა; მართალია ვაჭრობა-მრეწველობა მოკვდა აქ, მარა სახლები, ქუჩები, მაღაზიები და ამ მაღაზიებში ვაჭრები (ბუზების მთვლელად) მაინც დარჩენ. ახლა ამ ნაშთსაც განსაცდელი მოელის: დალოცვილი შავი ზღვა გაგვირისხდა და ტალღებს ტალღებზე გზავნის ბათუმის ამოსაგდებათ. გიმნაზიის შენობას უკვე მოადგა დასანგრევათ, ბულვარს კაი მოგრძო კუდი შემოაგლიჯა და თუ ასე გაგრძელდა საქმე, მალე ბათუმის მიდამოები შავი ზღვის მოუსვენარ ტალღების სათამაშო არედ გადაიქცევა.

ჰო და სანამ ეს არ მომხდარა, მანამ ნუ მოვაკლებთ ჩვენს წყალობას მიმკვდარებულ ბათუმის არსებათა.

გიმნაზიის შენობა ვახსენეთ და ამ ხსენებამ ბევრი რამ გამახსენა. გამახსენდა, თუ როგორ იხრჩობოდა ბათუმი ყალბ „პატრიოტიზმის“ ბრჭყალებში. ამ ბრჭყალების გავლენას და სიმწარეს დღესაც განიცდის ის. გიმნაზიის შენობას წვით და დაგვით ნასესხები 200 ათასი მანეთი შეალიეს. ააგეს შენობა ისეთს ალაგას, სადაც ჭკუათა მყოფელი მას თავის დღეში არ ააგებდა. სასწავლებელი ქალაქის შუა ალაგას უნდა იყოს. მიაფურთხეს ამ ჭეშმარიტებას და გიმნაზია ქალაქის ბოლოზე ააგეს, სატუსაღოს მეზობლათ. მარა ეს კიდევ არაფერია. ზედ ნაპირზე მიუდგეს შავ ზღვას, რომელიც აღშფოთებულ ტალღებს გაშმაგებით სცემს გიმნაზიის კედლებს და შეიძლება, მალე სულ მიანგრ-მოანგრიოს.

ამ სასახელო საქმის მომქმედნი უმთავრესი პირნი უკვე განისვენებენ საფლავსა შინა. ვინც დარჩნენ, დიდათ არც იგინი განსხვავდებიან მკვდრებისაგან. რა უნდა მოვთხოვოთ ამ მკვდრებს!.. არაფერი!..

ყბად-აღებული საავათმყოფოც ისეთ ალაგას ჩადგეს, რომ ამბობენ იქ ბაყაყსაც კი აცივებსო. ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს, რომ ამ საავათმყოფოს საქმე რაიმე საქმეს გავდეს. წინეთ ბატონნი ექიმნი, სანამ წათამამდებოდენ, დღეში ორხელ დადიოდენ საავათმყოფოში; მართალია თავის დროზე არა,მარა მაინც დადიოდენ.მერე,რაკი დარწმუნდენ, რომ აქ უპატრონობას დიდი გასავალი აქვსო, ადგენ და დაადგინეს: ერთხელ ვიაროთ, დილითო. ამასაც შეურიგდებოდა კაცი, რომ ზოგიერთ მათგანს იქ თავის დროზე ნახავდე. უფროსი ექიმი „დაჩაში“ ცხოვრობს. თავის დროზედ მას საავათმყოფოში იშვიათად ნახავთ. ეს უფროსი ექიმი საავათმყოფოს დოსტაქარია და თუ ვინმე ავათმყოფს ჩქარი დახმარება სჭირია, მაშინ ხომ ბატონ უფროს ექიმს ვერ იპოვით და ვერა. ასეთი ამბავი მიამბეს: ავათმყოფი საოპერაციოთ გაამზადეს, როგორც იქნა მობრძანდა დოსტაქარი, მარა მალე მატარებლით უნდა გაბრუნებულიყო და ოპერაცია შემდეგი დღისათვის გადასდო. მესამე დღესაც იგივე გაიმეორა. სამჯერ საფაღარათო მიაღებინა, მისუსტებულმა ავათმყოფმა ასეთს ტანჯვას უაპერაციობა არჩია და თავი მიანება საავათმყოფოს.

ასეთს მშვენიერს წეს-რიგს ბათუმის საავათმყოფოსას დაუმატეთ შემდეგი: ყველა საავათმყოფოებში ექიმების მორიგეობა არსებობს; ასეთი წესი ბათუმის საავათმყოფოშიაც არის, ყველა.საავათმყოფოში ნახავთ გამოცდილების შესაძენათ უნივერსიტეტის სკამიდან ახლად ჩამომხტარ ექიმს. ნახავთ ასეთს ბათუმის საავათმყოფოშიაც. და აი, უმეტესი ნაწილი ბათუმის საავათმყოფოს ექიმებისა თავის მორიგეობას „გამოცდილების შესაძენათ“ მოსულს ანდობენ და თითონ კი ერთხელაც არ მორიგეობენ!

რას იზამთ! ხომ გაგიგონიათ: სოფელი ვნახე უძაღლოო...

და ასეთ უძაღლო სოფელში იგრძნო თავი ექიმმა პაპისოვმა. მოგეხსენებათ, თუ სიკეთე არ წყალობს რუსეთს, ხოლერა და შავი ჭირი ხომ თავზე საყრელათ აქვს; იმდენათ ჭარბობს ეს სიკეთე კურთხეულ რუსეთში, რომ ყოველ წლობით ამ სიკეთეს „სამშობლოს აღებ-მიცემობა“ ბლომათ ეზი-

დება დასავლეთ ევროპისაკენ. ადესამ ჩვენს ბათუმს ერთ-ერთი გემით შავი ჭირის ბაცილები შემოუგზავნა. ამ ჭირით ამას წინათ აქ ერთი ბავშვი მოკვდა. დაფაცურდენ მამები. მოიწვიეს სანიტარულ მეორე ექიმათ ბ-ნი პაპისოვი. დანიშნეს ვირთხების მჭერავი „ოტრიადები“, რაცავით ექსი და ამ „ოტრიადებს“ სათავეში ჩაუყენეს ზემოხსენებული ექიმი. 7 იანვარს აღმოაჩინეს საშენდრო საავათმყოფოში შავი ჭირით ავათმყოფი სალდათი. კიდევ დაფაცურდენ, მოიწვიეს ექიმები. ვირთხების მჭერავ „ოტრიადების“ „ნაჩალნიკს“ ვირთხების დაჭერის შესახებ ანგარიში მოთხოვეს.—„ჩემი „ოტრიადი“ ურიგებდა მეეზოვებს სავირთხო საწამლავს, მეტი არა ვიცი რაო“.—ასე თქვა „ნაჩალნიკმა“...—„ოტრიადების“ მოქმედებას თუ უკეთებდა კონტროლსო,—შეეკითხეს.—მაგის რა მოგახსენოო,—იყო პასუხი.

აი, ასე შესაბრალისი ყოფილა უძაღლო ქვეყანა!

კვინწარი.

გურული სცენა

ივლიანა ტყავ-შემშპარიძის ნაღველი.

რა ახალი წელიწადია, ვაი დედასა, რას მილოცავთ? დაგვესხა ლაფი, გამოგვიტირე მტერმა და მოყვარემ! დედავ, დედავ, საითკენაც გევიქეცი იქით წევიქეცი, ყმაი არ მყოლია და მამული. ერთად-ერთი გაფხეკილი აზნაურობა მქონდა და იმის შერჩენიზა იყო, რომ კირილოვს მეძებარ ძაღლსავით უძროპოდით, ახალთაობა ჩავნარწყოთ მეთქი! დედავ, თურმე მეიცადე და უყურე შენს სეირს: გადასახადებით სულზე მიგვაყენა, მარა ამას ვინ ჩიოდა, აზნაურობა მაინც მაქ მეთქი და ბრეს ვაყრიდი ერთს და მეორეს. კარში რომ გამევიდოდი, ავსწევდი ცხვირს, გავაბზეკდი კუდს და ნაყმევებს თავს არ ვუყადრებდი. დედავ, გევიხედე გუშხამ და დაგვიბარა ნაჩალნიკმა გაგვისვა ხელი და ქი არ გაგვასწორა ყველაყაი. ახლა გვიბრძანებს პეტრიე მამასახლისი, უნდა წამოგჯე, დაჩაქურდე, ხელში ნაღობარაი, ზრუგში ქეჩანაბადით და გოგია ყაზახთან მთელი ღამე და დღე უნდა იყუნცული შუკა-შუკა, რაი და საცხა ფირალები დატრიხინობსო. ვაი წავხთი, ამას ქვია, ცხენს ვერ შესწვტევენ და უნაგირი დაამტვრიესო, მარა იმის მჯავრი ვის აქ, ვაი აზნაურობავ და დეპუტანტ სობრანეის ექვსო აბაზო!

დაგვიანებული საახაწლო მილოცვები.

(ფოთელებს)

გასულსა წლსა ახალი
ნეტავ თუ ემსგავსებაო,
„პოლ კაპეიკი“ იშოვეთ
უმჯობეს რა იქნებაო...
თუმცა ამბობენ, თქვენს ფულებს
წამლათ ვერ გაეცხებაო,
მარა სანამდე ნიკო გყავთ,
აბა რა გამოჩნდებაო!
უპრავისტების ბნელ კუნჭულს
სინათლე ვერ უდგებაო:
ეშმაკის მახე მათ მახეს
საიდან შეედრებაო.

ოზურგეთს.

გილოცავ ახალ წელიწადს,
არ დამრჩე განრისხებული,
ხულიგანები ბევრი გყავს
უფლება-ჩამოკლებული.
ხეირს ვერ გაყრის პლატონი
შემთხვევით გათავებული,
რა იქნა ვრცელი გეგმები,
სად არის მიძინებული?

იქავე, სამეურნეო სკოლას.

ტყავ გამძვრალ ხალხის ქანქარი
შენც კარგათ ჩაიჯიბეო,
რა არის შენი მიზანი
ჯერ არვინ იცის კიდეო.
შენგან ვერავინ სარგებლობს,
მაშ რაღათ აგვეკიდეო,
ღმერთმა ინებოს კვალადაც
სულ შენთვის აღარ მკიდეო.

ლანჩხუთს.

შენცა გილოცავ ახალ წელს,
გისურვებ იყო ქებული.
სურვილი ერთობ ბევრი გაქვს
და ცოტა ასრულებული...
ნასწავლი ხალხიც ბევრი გყავთ,
ყურ ცქვიტა კუდებ ქიცინა.
სხვა ქვეყანაზე რაუნდათ
ქალებმა თუ გაუცინა,
ერთი გაზეთი რაარის...
ან ფიქრი სამკითხველოზე,

უბეს თუ კარტით გაუმსებ
დაიძინებენ გემოზე...

იქავე, მომრიგებელ მოსამართლეს

ახალსა წელსა გილოცავ
კაცი ხარ პატივ-დებული,
ნამდვილი მომრიგებელი,
სამართლის მჭრელი, ქებული;
ალმატებას ვერ გისურვებ,
არ გვექნე მოცილებული,
ნეტავი თლათ იქნებოდე
ლანჩხუთზე შებერებული.

იქავე, საავათმყოფოს

ახალსა წელთან გისურვებ
გამოგეცვალოს ბინაო,
ექიმსაც გამოიცვლიდე
ვინ გეყოლება წინაო,
არა და სახელს აფუჭებ
ტყუილა გვემადლებიო,
სხვისი განკურვნა კი არა,
თითონ სიქაჩლით კვდებაო.

ნიგოითელ ხუცებს

გასულსა წელსა ემდურით,
დაგტოვათ დამწუხრებული,
ერთურთი დაგიჩეჩიათ,
დაგირჩათ გამჟღავნებული.

ვ. გ—ლს

გასულმა წელმა მრავალი
მსუქანი ლუკმა შეგძინა,
ურცხვათა სწევდი ზეიმსა
სხვა რომ ცრემლს ღვრიდა შენ წინა.
დახე წყეულსა ფათერაკს,
ლამის წაგმწარდა ბოლოსა...
ლომო, დაუხმე გონებას,
მასხრათ ნუ იგდებ კოლოსა!!

ე შ მ ა კ ს

გწყალობდეს წმინდა ვასილი
და მისი თეთრი წვერიო,
„მახე“ რამ მოგაგონია
მავნეთა დასაჭერიო.
სახელით ეშმაკისათა
მეც შეუდგები საქმესო,
და თუ ვიმრუდო იოტი,
მარჯვენა ჩემი გახმესო.

შხანვოლა.

რუსული ოპერა.



ანტ. ეიხენვალდი. მაგრათ დამიჭი, ვასილი მი-ხაილოვიჩ, თორემ ,,გძავვერი ტრუბაში''

საუკუნო ქალაქი

(დასასრული *)

სხვა გზა არ იყო: მეც გავიქეცი ბულვარისაკენ, საიდანაც ახლა საშინელი ღრიანცელი მოისმოდა.

ერთ წუთს ჩამოვირბინე და ჩემს თვალ-წინ შემდეგი სურათი გადაიშალა: მთელი ბულვარი გაჭედილიყო ქუთათურებით, რომელნიც ცხვრის ფარასავით მიჰკროდენ ერთმანერთს, ხელებს ივანოვის ქუჩისაკენ აშვერდენ, საზარლათ იგრიხებოდენ და უზომოთ დატანჯული სახით, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მუნჯებივით, გაბმით ღრიალებდენ:

— ااا--ااا-ااا!

მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ტანჯვა დაუკმაყოფილებელ ცნობის მოყვარეობისა და ქუთათურისაგან კი ეს ტანჯვა აღემატება ყოველსავე აუტანელ სატკივარსა და ჭრილობას. მიზეზი კი მე და ჩემი დახურული ეტლი ვიყავით.

— როდემდე უნდა იღრიალონ ასე?

შემებრალენ და გადავწყვიტე ბოლო მომეღო ქუთათურების წვალებისათვის. ეს ჩემთვის ძალიან ადვილი საქმე იყო.

ბაღის გალავანთან მივედი, თავი ბაღში გადვკყავი და რაც ამომეტეოდა, დავიყვირე:

— ქუთათურებო! ჰეი, ქუთათურებო!

ხმა ძლიერი და ბოხი მაქვს, ასე რომ ვინც ახლო იდგა, პირი ჩემკენ იბრუნა.

— ქუთათურებო!.. დავიღრიალე კიდევ.

ახლა მეტმა მომაქცია ყურადღება და, ვინაიდან გააფთრებით ვყვიროდი და სახეც, უთუოთ, შესაფერათ გააფთრებული მქონდა, ღრიალი შესწყვიტეს და ყურები დაცქვიტეს.

ცოტა ხანს შევჩერდი და როცა ვიგრძენი, რომ მთელი ყურადღება ჩემკენ იყო მოპყრობილი, დავიღრიალე:

— ლევ ტოლსტოი ცოცხალი ყოფილა!

ჩემმა ოინმა სავსებით გასჭრა. ჩემ მიერ გამოცხადებული ამბავი ისეთი სენსაციური და არაჩვეულებრივი იყო, რომ ქუთათურების ღრიალი მყისვე შეწყდა, სახე შეეცვალათ და ტანჯვის მაგიერ კმაყოფილება აღებეჭდათ. ახალი ამბავი თვალის დახამხამებაში მოედო მთელს ბულვარს და ტანჯვისაგან განთავისუფლებული ხალხი საჩქაროთ დაიშალა.

—

საღამოს ქალაქში ათასნაირი ხმები დადიოდა.

— გაძლევ პატიოსან სიტყვას, მარწმუნებდა ერთი ნაცნობთაგანი, რომ მე ჩემის თვალით ვნახე, რიონის სადგურზე, როგორ ჩამოვიდა ტოლსტოი მესამე კლასის ვაგონიდან და ქუთაისის მატარებელში გადმოჯდა...

— მაშ ქუთაისში მოსულა კიდეც! წამოვიძახე მე.

— როგორ არა! განა არ იცი, რომ დახურული ეტლით დადიოდა ქალაქში დილიდან საღამომდე?

— ჰმ! ჩავახველე მე...

მეორეს ტოლსტოი არ ენახა, მაგრამ მაგიერში ჩერტკოვისთვის მოეკრა თვალი ქუთაისის სადგურზე

მესამეს ალექსანდრა ლვოვნა შეემჩნია დახურულ ეტლში...

ერთს თავის თვალით ენახა“, რომ დახურული ეტლით ვიღაც საეჭვო პირი დასეირნობდა, ქერა და წვრილ-თვალა, „მთავრობის ჯაშუში თუ იყო, ტოლსტოის საზვერავათ გამოგზავნილი“.

მეორე დღეს გაზეთ „Кут. Жизнь“-ში შემდეგი ამბავი იყო დაბეჭდილი.

„დახურული ეტლები.

გუშინ მთელი ქუთაისის ყურადღება მიიპყრო ერთმა არაჩვეულებრივმა მოვლენამ. დილიდან საღამომდე ქალაქის სხვა და სხვა ქუჩებზე შეხვდებოდით დახურულ ეტლებს, რომელნიც ელვასავით დაჰქროდენ. ყველა გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ასეთ მშვენიერ დარში უცნაურ მგზავრებს ეტლები დაეხურათ. არავინ იცოდა, ვინ ისხდენ შიგ და, რა გასაკვირალია, რომ მთელი ქუთაისი მოუთმენლათ ელის ამ ახირებული მოვლენის განმარტებას. ჩვენმა რედაქციამ დანამდვილებით შეიტყო ყოველივე და ჩქარის დაუყონებლივ აუწყოს მკითხველს დაწვრილებითი ახსნა უცხო სანახაობისა.

ჩვენი გაზეთი იმ თავითვე სკეპტიურის თვალით უცქეროდა იმ აურ-ზაურს, რომელიც რუსეთის და ჩვენმა გაზეთებმაც ასტეხეს ტოლსტოის „სიკვდილის“ შესახებ. ჩვენ ვგრძნობდით, რომ გენიოსი მოხუცი ასე ადვილათ არ გამოეთხოვებოდა წუთისოფელს და არ ვგჯეროდა მისი სიკვდილის ამბავი, რაც არა ერთხელ გამოვთქვით სხვა და სხვა პირებთან კერძო მუსაიფის დროს. ჩვენი წინათგრძნობა გამართლდა: დიდებული მწერლის მიცვალება ტყუილი გამოდგა.

ჩვენმა თანამშრომელმა დანამდვილებით გაიგო რომ ტოლსტოი ცოცხალია და, რაც ყველაზე უფრო მოულოდნელი და სასიამოვნოა, იგი ამ ჟამათ აქ, ჩვენს ქალაქში იმყოფება. აი რა ყოფილა გუშინდელ დახურულ ეტლთა საიდუმლოება. ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ პირველ ეტლში იჯდა ექიმი მაკოვიცკი, რომელიც შესაფერ ადგილს ეძებდა

*) იხ. «ᲔᲨ. Მ.» № 2.

მსოფლიო გენიოსის დასაბინავებლათ; მეორე ეტ-ლში ჩერტოკოვს მოჰკრა თვალი ჩვენმა თანამშრომელმა, ხოლო მესამეში ალექსანდრა ლვოვნა შენიშნა. თითონ ტოლსტოი არ დაუნახავს, ვინაიდან მისმა ეტლმა ყველაზე გვიან გამოიარა ქალაქში: მაგიერში იმავე ჩვენმა თანამშრომელმა აშკარათ ცაარჩია მეხუთე დახურულ ეტლში მჯდომი, ქერა თმიანი, წვრილ თვალა, საეჭვო შეხედულობის კაცი, რომელსაც თფილისის ქუჩაზე ერთ-ერთი აქაური პოლიციელი შეეგება. მკითხველი ადვილათ მიხვდება ამ ვაჟბატონის ვინაობას“...

იმავე დღეს დავტოვე ქუთაისი, საუკუნო ქალაქი.

ᲗᲐᲒᲣᲜᲐ.

ᲨᲐᲠᲐᲓᲐ.

მინდა გიამბოთ შარადა
ოსტატურ ანაშენები:
სიტურფე-მოხდენილობით
ჟურნალთა დამამშვენები,
სიწმინდე-სისუფთავითა
თოვლის შუქ მონაფენები...
სიძნელეს შემოსწამებენ
მხოლოდ ბოროტი ენები,
გონებრივ სიზანტისაგან
„ტუპიკში“ მინაყენები.
პირველი სიტყვა, იკოდეთ
რკინისა იარაღია...
ხანდისხან, ამ ჩვენ ქუჩებში
მისი მოძრავი ბაღია,
ეთამაშება მზის სხივებს
ცხოვრება განალაღია!
თითს რო გამოჰკრავ ფეხშიგან
(თუ ჩახმახ გამონაღია)
ერთს დაიქუხებს, გასცვეთავს
რაგინდ ვაჟკაცი საღია.
უნდა გაჰკვეთო ეგ სიტყვა
ორ ნაჭრათ, თანასწორათა
ბოლო გადასდოთ, თავი კი
თან გქონდეთ სამახსოვრათა.
შემდეგ მონახოთ ანბანის
უხმოთა შორის დებული...
ქორონიკონით ორია
სამგზობის გადიდებული
(აქ ანგარიშის ცოდნაი
არ დაგჭირდებათ ქებული).
მიადგით ასო იმ ნაჭერს,

რაც შეინახეთ წელანა
და მომიძებნეთ საგანი,
რასაც თაყვანს სცემს ქვეყანა,
რაც ლითონისგან კეთდება
ყვითელია, თუ თეთრია,
რაიც, სიჭარბით როცა გაქვს,
შენი ხმა მძლე და მკვეთრია,
შენზე არ იტყვის არავინ:
„ჩვენსა რად შემოეთრია“
გასჭერით ეს სახელიც
შვა წელზე უხოგველათა,
ბოლო ნაწილი იმისი
უცებ მოიგდეთ ხელათა
და გააქანეთ წინანდელ
ნაშთებზე მისადგმელათა.
ბოდიშს მოვითხოვ, რამეთუ
გაგტანჯეთ, გაგამწარევით!!
(ვინ იცის, ამდენ ფიქრებში
რა ბევრი ოფლი ღვარევით!)
ახლა მოსდექით, იკითხეთ
რაც უკვე მოაგვარევით,
და თუ ნაპოვნი ნაშთები
არ გიხმარიათ არევით,
ცისა მიიღებთ „მანანას“
სითეთრით გადასარევით.
მანანა იგი არ არის
ძველისა მისადარები,
იგი ზეციდან მოცვივა
ზამთრის როცა დგას დარები,
არცა საჭმელად ივარგის
არც სხვად არს მოსახმარები
პირიქით, საზარელია,
ცხოვრების გამამწარები.
დაეფინება ქვეყანას,
ვითარცა თეთრი სუდარა,
ცხოვრებას შეჰკრავს, გზას ახშობს,
თუ დროზე აღარ უდარა,
პირუტყვებს ამწყვდევს ბაგაში
შიმშილით გამაგუდარა,
გარეშე მზისა სხივების
წამალი არა უნდა-რა.
აი დღეს, როგორც ამბობენ,
მთელს იმერეთის მხარესა,
გურია-სამეგრელოსა,
აჭარის მთისა ღარებსა,
ქობულეთს, ართვინს, არდაგანს,
ბათუმს, ზღვით შემონარებსა,
თავს დასწოლია სიუხვით
შიშისა მოჰგვრის ქარებსა,
დალეწ-წალეკას უქადის
სიცოცხლეს გაუმწარებსა.
ვის გაუპირდეს ამოხსნა
ჭკუიდან გადანარებსა?

ᲙᲝᲚᲝ

1911 წლის პირველი იანვრიდან იწყებს არსებობას ახალი ყოველ-კვირეული იუმორისტული ჟურნალი

„ეშმაკის მახე“

„არსებობის დაწყება“ არც ისე ძნელი საქმეა. ჩვენში ბევრი, ძლიერ ბევრი ჟურნალ-გაზეთობა იწყებს ხოლმე არსებობას, მაგრამ... მაგაოიც ის არის, რომ ჩვენი ცხოვრების უკეთესობა უმალვე უსპობს მათ სიცოცხლეს: ზოგს ბუნებრივის და ზოგსაც ხელოვნური სიკვდილით. კვდება ის, ვინც ტირის, კვდება ის, ვინც იცინის! „ეშმაკის მახეს“ სრულიად არ ენატრება სიკვდილი, მაგრამ თუ ძალ მაინც უწერია ახლო აღსასრული, ის ამჯობინებს სიცილში მოკვდეს; ტირილით კი მას მისი პირისუფალნი დაიტირებენ. თქვენ იქნება იკითხოთ, ვინ არიან ეს პირისუფალნი:

1) პირ მომცინარეთ მზერალნი, თუმც ჭირ-ვარამის მწერალნი.

აკაკი (ჭადარა წელთა მსგელობით, ნაქები ენა მწრელობით). **ბენუკა** (მესტვირე მხნე და ეული: გვიან გვიან სწერს წეეული). **ბლიკვაძე** (ცხობილი იგავ-არაკით და სტვირის ტკბილი რაკრაკით). **ეშმაკი** (მცდარი, ბოუსვენარი, დაესდობელი მგბენარი). **თაგუნა** (მეცნიერებით ცნობილი, ბრიზაში გამოწრთობილი). **კენტი** (ბათუმის დარაჯ-მხვერავი, მოხსენებათა მწერავი). **ონისიმე** (მეძატიანე ოდიშის, არ უეკარს მოხდა ბოდიშის). **პიტნა** (მწერალი „გურულ სტენისა, ბატრონი მეხვალ ენისა). **ფონ-ტეფო** (მგესლავი ნაკურთხ მამათა:ის არ აიკენეის ამათა). **შხაპკოლა** (კვამატი, ენა ფხიანი, ხუდიკანთ მისტეს ხიანი

2) ჭაბუკნი, ნორჩნი მგზოსანნი, ტკბილ-ხმოვან ლირიკოსანნი:

ნ. ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, ლეჩხუმელი. მალაქიაშვილი, რუხაძე, ქუჩიშვილი.

ეს ქაოისუფალნი „ეშმაკის ძახისა“! ამიტომაც არ ეშინია ძას სიკვდილის სახისა. სიცოცხლეში იგი არ დაინდობა ალავის; ცოდვა მიუძღვის რამე ვის:

არ დაინდობს:
არც ქურდ, არც ყბედს,
არც სოფლის ჩარჩს,
არც ქველმოქმედს,
არცა მწერალს,
არც ჩაფარს, გზირს,
ვინაც მოჰგვრის
ხალხს გასაჭირს,
არც მექრთამე

ჩინოვნიკებს,
არცა ყმაწვილ
კუდაბზიკებს,
არ დაინდობს
არც პედაგოგს,
(რა თქმა უნდა
ზოგსა და ზოგს)
არცა მსაჯულებს,
არცა ვექილს,

უსამართლოს
გამოცვეთილს.
არც მსახიობს,
არც მომღერალს,
არცა უშნო
ლექსთა მწერალს,
არ დაინდობს
ის არავის
პირში მხელა
სჭირია ვის.

და თუ სიკვდილი აუცილებელი იქნება, ისეთ ქელეხს გაუმართავს თავისს მკითხველებს რომ ზოგიეთ ქორწილსაც გადააჭარბოს.

ვიდრე ცოცხალია, „ეშმაკის მახე“ ეცდება გააუმჯობესოს თავისი ფურცლები, როგორც მხატვრობის, აგრეთვე შინაარსის მხრითაც. ახლო მომავალში ის **ელის სურათებს**, რომლებიც მეტ მიმზიდველობას ძისცემენ მას.

ხელის ძოწეოა „ეშმაკის მახეზე“ ყოველთვის შეიძლება ჩ იმდენი ვადით, რამდენი ვისაც სურს. წლიურათ ღირს 5 მან , ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ

შემოხვევითი კორესპონდენტები წერილებს ამ ადრესით გამოგზავნიან: Тифлисъ, Грибоѣдовская, № 34. Типографія Е. Кереселидзе, для „Эшмакисъ Махе“.

ფულიანი წერილი კი უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Габаевскій пер. Типографія „Цховреба“ Аслану Каландадзе.

მესტვირული

(ბაქოსათვის)

დიდი ხანია ბაქოზე
აღარ დაკრულა სტვირია,
არ შეუმკია არავის
იმისი ნაგავ-წვირია;
არც ეშმაკი გვყავს, არც ქაჯი,
ორივ გაგვიხდა ძვირია,
თავი აიღეს აღებმა
დაგვიდგა გასაჭირია!
„მუშებს ავაძროთ ტყავიო“!
ასე გაითქვეს პირია,
დარი ხომ უდგათ მზიანი
და რაღა გასაკვირია!?.

—

ერთხელ რომ ნიორ-ხახვს ყიდდა,
კურტნით დაჰყავდა ვირია,—
დღეს „დიდი აღა“ გამხდარა,
ბირჟის ბატონი, გმირია;
ვირისთვის თავი დაუკრავს,
(რა ოხრად უნდა ყვირია)?
ავტომობილით მიმოჰქრის,
ცხენებიც აღარ სჭირია;
ფრაკი იმგვარათ უხდება,
ვით ძროხას უნაგირია,
ჩაის თუ ხელი მოკიდა
უნდა დაიწვას პირია;
ღმერთმა დასწყევლოს ქვეყანა
რა ჭრელი, რა ორპირია,
ცხოვრების უკულმართობას
ვერ მოსთვლის ჩემი სტვირია.

—

ბედმა მოგვხედა ქართველებს,
აღარ სჭრის ჩვენი მსჯავრია,
და აწ ღაწვს აღარ გვისველებს
ცხმრე ცრემლების ღვარია:
ჩვენ არ გაგვაჩნდა ქართული
არც ჯვარი, არც საყდარია,
წირვას უცხოთგან ვისმენდით,
არ გვქონდა სხვა სახსარია.
ქართულ ხუცესსა ვნატრობდით,
რომ დაგვემარხა მკვდარია,
ქართულათ წესი აეგო,
ქართულათ ეთქვა ზარია.
დღეს გვისრულდება ნანატრი,
(მიტომ ვართ განახარია:)
ბაქოში საყდარს გვიშენებს
ქართველ „პატრიოტთ ჯარია“.
ქართული ღვდელი გვიწირავს,
(ცხვრის თავზე სულუხსარია)
და სულიც გაგვინათლდება
სიბნელით განამწარია.
რაღას დაგვაკლებს მაცდური
თუნდ მოსქდეს მთელი ჯარია,
სულს ვერ წაგვიწყმენდს ეშმაკი
ჯოჯოხეთს შიგან მჯდარია.

—

ქართული სკოლის გამგეთაც
არ აწყენს მესტვირულია;
(იმათი ქებით ნასიძემ
წაიღო სული, გულია.)
მასწავლებელი კარგი ჰყავთ
„ზაკაზათ“ მონახულია,
ქართულსაც ვეღარ ახერხებს
იმ ზომად „განსწავლულია“.
ბიბლიოთეკაც იქა აქვთ
მუდამ დღე კარ დახშულია,
წიგნები შკაფში აწყვია,
ზედ აძევს რკინეულია;
ქართული ჟურნალ-გაზეთი
იმისთვის უცხო ხილია...
და „მოსაქმობა“ ამგვარი,
აქ საქმეთ მონათლულია...

ანდრონიკო.

მოგონება.

ვერ დავივიწყებ იმ ნეტარ დროსა,
ხომლის სიმშვენით გაბრწყინვალებულს;
ვსულდგმულობ მხოლოთ ტკბილ მოგონებით,
მითი ვიმშვიდებ სულს დაობლებულს.
მახსოვს: ცხოვრების ბილის კისკასსა
გადმოეშალა ვერცხლის დალალნი,
ლაჟვარდ გულ-მკერდზე მთიებნი კრთოდენ
ვით მარგალიტის ძვირფასი თვალნი.
აყვავებული იმედის მდელო
ფირუზ ტალღებში მრმოცურავდა,
სატკბილ-ოცნებო სხივთა ნაკადულს
თექა აშლილი გულში იკრავდა.
გრძნობის მგოსანი ბედის ფანდურსა
საუცხოო ხმით აწკრიალებდა,
ქებას სწირავდა განახლების ღმერთს
შარავანდედით რომ ბრწყინვალებდა.

ყველა არსებას შვების ჰანგები
გრძნობის სიმებათ გადაქსოვოდა,
სულის სწრაფვასა ფრთა გაეშალა
ოცნების ჰუნით ცის იქით რბოდა.
მაგრამ ქვესკნეთის ავსა ძალებსა
შეშურდათ ჩვენი ბედნიერება, —
დრაკონის მკლავით გულს ჩაიხვიეს
ცხოველ მყოფელი მზის ელვარება.
ამაყსა გმირებს დუშმნის ისარმა
გული გაუპო ვით მონებს ძლეულთ,
ველურ ხარხარით ზედ გადუარეს
წყვდიადის ქურუმთ გვამთ გაცოვებულთ.
იქ, სად იმედის მდელო ყვავოდა,
დღეს პარტახია შესაზარელი,
გმირთ აკლდამებზე მკაცრ ქარის ზუზუნს
მოუთხრობს ბანსა მგესლავი გველი.
აი, ამ დღეთა მოგონებითა
არ მიძს არ ვღვარო ცრემლი მდულარე,
არ შემიძლიან არ ავაკვნესო
კაეშნიანათ გული მწუხარე.
ვგოდებ, ვითარცა იერემია,
მოძმეთ საფლავებს სულთქმით მივსტირი,
რაღა მშთენია სანუგეშო იქ,
სად მეფობს ზაკვა გულ-გასაგმირი.

დ. თურდოსპირელი



ცხოვრების გზაზე.

არა, არ მინდა აქ მოსვენება,
შეუჩერებლათ უნდა ვიარო,
თუნდ ზედ დაქარგულ ნარ-ეკლებითა
ტანჯული გული დავიიარო.
ხან ტკბილ ოცნების ფრთებს შევისხამ,
მაღლა ავიწევ, შორს გავიჭრები;
სიცოცხლის ჩანგზე სიმებს მოვმართავ,
მომღერალს ბულბულს მივედარები,
ხან სევდა-ნაღველს დავემონები,
გულს დამიღრღნიან შავი ფიქრები,
ტკივილსა ვიგრძნობ, გამიჭირდება,
ჩანგს დამისველებს ცხარე ცრემლები.
მაინც წინ წავალ, ვერ შემაჩერებს
ციხე-ბორკილი წინ რომ დამხვდება,
მიყვარს სიცოცხლე მოუსვენარი,
საფრთხესთან ბრძოლა და გამკლავება.
ვიცი, ამ გზაზე ძლიერ სტიქიის
მსრბოლავ ტალღებსაც გადავეყრები,
გულს გამიხურავებს სრბოლის წყურვილი
და შიგ უშიშრად გადავეშვები.
დაე, დავმარცხდე, შაემა უფსკრულმა
შთანმთქას ბრძოლაში დასუსტებული,
არ დავინანებ, არა, სიცოცხლეს...
მინდა ამ გზაზე ამომხდეს სული.
არა, არ მინდა აქ მოსვენება,
შეუჩერებლათ უნდა ვიარო,
დე, ზედ და ქარგულ ნარ-ეკლებითა
ტანჯული გული დავიიარო!..
ერთხელ ხომ მაინც მოვუძლურდები,
თავს დამესხმება შავი სიკვდილი
და ნუ თუ მკვდარსა აღარ მეყოფა
ცივს სამარეში წოლა... დუმილი!?..

ანათემა *).

ამონაკვნესი.

არა... სანამდის გავყვებით ასე
წახრილის ქედით, ვით პირუტყვები?
სანამ ვიცოცხლებთ ბედის წიხლებქვეშ,
უდრტვინველები, მორჩილ-უტყვები?!
დაოსდა გული, ჩაფერფლდა გრძნობა,
გატყდა, გარბილდა სიცოცხლის კვესი...
ჩანგი ჩაქოთდა; სიმებს ასველებს
ნაღველი, ცრემლში ამონაღესი.
უკვე ჩანელდა სამსხვერპლოს ცეცხლი...
რისთვისღა ჰკლავენ კიდე ზვარაკებს?!
ქვეყნის სადავეს განაგებს ცოდვა
და ის სინდისს არ ალაპარაკებს...

---

*) ზოგიერთ ფოთელ პატივცემულ პირთ საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ჩვენს ჟურნალში მომუშავე ანათემა არ არის ის ანათემა, რომელიც ფოთში მწერლობს თურმე ამ ფსევდონიმით. ჩვენი ანათემა ბაქოელი ანათემაა.

რედ.

რას აჩხრიალებ, იუდავ, მაგ ვერცხლს!!
სთქვი, რაზე ყღერის ეგ შენი ჩანგი?
მითხარ, სამარე რამდენს გაუპე
და შეაპარე სიკვდილის ბანგი?..
გადიხარხარა...
...მწარეთ სტირიან...
ცრემლი არ დასდით... ცრემლი გამშრალა...
ყინვა დაჰკვრია ცხოვრების სანთელს
და აღარ იწვის, ცეცხლი ჩამქრალა...
„ბნელში ვიდოდით“...კვლავ სანამ ვივლით?!
მარქვით, სად არის ბედის საზღვარი?
სანამდის უნდა ვიაროთ ასე
და თმენით ვზიდოთ წამების ჯვარი?!.
დეე ტაძარზე ჩანელდეს ცეცხლი,
სხივები მისწყდენ ცხოვრების სანთელს!—
ჩვენ თვით აღვიგზნათ ტაძარზე ცეცხლათ,
ჩვენ თითონ შევქნით ჩაუშრეტ კანდელს!..
მაშ, მოახიე სევდის ღრუბელი!
კვლავ გამოაწრთე სიცოცხლის კვესი,
დაჰკარ ტალს, ცეცხლი დააფრქვევინე
და ქვეყნის ცოდვას აუგე წესი!
ფრთა გამოაბი გულის სურვილებს!
თავისუფლების ნავი დასძარი,
შეხუთულ ჰაერს მხნეთ დაძგერე,
გამოიწვიე მრისხანე ქარი!..

ნ. ბოშლიოლი



ᲘᲥ...

ᲛᲝᲜᲝᲓᲝᲒᲘ

(რუსულიდან.)

დედა, გენაცვალე, საყვარელო დედა! გამიშვი... მომეცი ნება წავიდე... დავიტანჯე, მეტი აღარ შემიძლია...

მოხუცი ხარ შენ ჩემო ერთად-ერთო მეგობარო; შენი მკრთალი პირისახის ნაოჭებიდან ნათლათ და გარკვევით იკჭირებიან მარტოობის, სევდიანი ცხოვრების ტანჯვა-ვაებანი. ზრუნვა-ჭაპან-წყვეტამ თეთრი თოვლით შემოსა შენი დაღლილი თავი. სასოწარკვეთილება ელვარებს შენს აღგზნებულ ცრემლებში და უტყვი ვედრებით შესთხოვ შენს ქალს: „დაიცადე, ნუ წახვალ, ნუ დამტოვებ ჩემო სულიკო“...

დედა, ძვირფასო დედა! შენ რომ შეგეძლოს ჩემი დაფლეთილი გულის დანახვა, როგორ მოსწვეთავს სისხლი და როგორ მტკივა ის... გული ჩემი მიილტვის, ფრთხიალებს ისე, როგორც ძლიერი და რკინის ფრთებიანი არწივი გალიაში...

არა, მე უნდა წანიდე ჩემო დედიკო!... იქ მივეშურები, შორიდან მეძახის... მეძახის და მიბრძანებს წავიდე...

....დედავ კეთილო, ხედავ კი, გრძნობ კი მთელ საშინელებას! მიმოიხედე რას შვრებიან ისინი... ყური დაუგდე რა ხდება ირგვლივ...

ყველგან ტირილი, ყველგან ტირილი და მწარე კვნესა...სტირის დედა-მიწა, სტირიან მინდვრები და ტყეები, სტირის ცა, ცივი, მძიმე და უნუგეშო ცრემლებით. სტირის და მოსთქვამს მთელი ქვეყანა... ისინი კი იცინიან... კისკისებენ მხიარულათ და დამშვიდებით. იცინიან! იცინიან! დედა, ძვირფასო დედიკო, როგორ მხეცურათ ხარხარებენ!...

ყური დაუგდე ბავშების კვნესას, როცა ღამის უდაბურ, განმარტოებულ ნისლში ქალაქი ჩაიძინებს, ცა დედამიწაზე დაეშვება და სამარისებურ სიჩუმეში ისმენს მოთქმა-გოდებას, ოხვრას და კვნესას, მაშინ ირგვლივ მიმოიფინება ბავშთა კვნესა-ყვირილი, აფრინდებიან ზევით და განმარტოვებით, ობლათ შთენილი, სასოწარკვეთილებით მოსთქვამს პატარა ბავშების დაფლეთილი სული. და ეს მოთქმა-ყვირილი სძიძგნის ჩემს გულს. არა, მე აღარ შემიძლია მეტის მოცდა, სიცოცხლე ჩემი მოწამლულია...

ძვირფასო დედა! ეს ყვირილი სწამლავს ჩემს გულს... მე აღარ ძალმიძს მეტის მოთმენა. მიმოიხედე ირგვლივ—რას შვრებიან ისინი, რას სჩადიან!...

იწვის სამშობლო მხარე კიდიდან-კიდემდე. წითელი ალით შემოსილია შავი ცა... მიქრი-მოქრიან ცეცხლის და ბოლის სვეტები და მათ შორის ისმის ყვირილი: ეს ყვირილია სასიკვდილო ტანჯვაში ჩავარდნილი ადამიანებისა.ყვირილი იზრდება და ჰგლეჯს შავით შემოსილ ცას... ყველგან ის... მაწვება და თითქოს გაელვარებული შანთით მწვავს მე ის...

არა, მეტი აღარ შემიძლია, აღარ ძალმიძს...

დედა! შენ სტირი! შენი მკრთალი ტუჩები ძლივს ლუღლუღებენ: „ნუ დამტოვებ ჩემო ერთად-ერთო შვილო, მე მოხუცი ვარ“... ჩუმი საყვედურით იმუდარებიან შენი თვალები.

ოხ, რომ მქონდეს ღონე... რომ შემწევდეს ძალა თავი დავიმორჩილო ჩემო ძვირფასო დედიკო... რომ შემეძლოს შენს მკერდში ჩაკვრა და ტირილი, რომ გამოვიტირო, გადმოვანთხიო დაგუბებული ცრემლთა ზღვა... ცრემლები რომელნიც გულს ლოდივით დასწოლიან... საწყალი ჩემი გული ცოტას მოიოხებდა...

დედავ მშობელო! ვიცი, რომ შენ ჩემს მეტი შვილი არა გყავს...

შენ მოხუცი ხარ...

სიჩუმეში, გრძელ და შავ-ბნელ ღამეებში მე მარტოკა დიდხანს ვფიქრობდი. როცა შენ ძილი მშვიდ ფრთებს გადაგაფარებდა, მრისხანე დარდებს გარეკდა და შენი ტუჩებიდან ნაზათ და სასოებით ჩემი სახელი გამოისმოდა, ამ დროს მე ვიჯექი და შენი სუნთქვა ფარავდა, ჩემო ძვირფასო დედავ, ჩემს ნუგეშს. როგორც ღამე უდაბნოში—ისეთივე მარტოობა იყო შენი ცხოვრება. როგორც ღამე სავსეა საშინელებით უდაბნოში, ისეთივე იყო შენი ცხოვრება... და შენი გზის მანათობელი ერთადერთი ვარსკვლავი მე ვიყავი.

ღამის სიჩუმეში მე მარტოკამ ბევრი ვიფიქრე. დარდი სძიძგნიდა ჩემს სულს, ჩემი ალერსი და ხვევნა-კოცნა შენსკენ მიისწრაფოდა. ძვირფასო მეგობარო, მშვიდო და დაქანცულო მეგობარო! როგორ უნდა დაგტოვო შენ მარტოკა უდაბნოში?! როგორ უნდა მოვგლიჯო მე ჩემი თავი შენს მკერდს?!!

დედა, დედა! მეტი აღარ შემიძლია... ბასრი და შხამიანი ისრები ესობიან ჩემს ტვინს... დღითა და ღამით. ყოველ დღე და ყოველ ღამე.

შეხედე. ღამემ გაირბინა, შორიდან სინათლის ოქროს სხივები მოცქრიალებენ. ცა ნაზათ და სიყვარულით აღსავსე იცინის... შეხედე, შეხედე!... **ისინი** მოდიან, **ისინი** ისევ მოდიან, მოდიან საშინელი და შესაზარნი... საპყრობილეს კარებთან მოდიან... მიდიან და სიკვდილი მიაქვთ... ბორკილები გულის შემზარავათ ჩხრიალებენ...

— აღსდექი! აღსდექი პატიმარო! აღსდექი— მოახლოვდა... ისინი მოდიან, მოდიან! ზარბაზნები უკვე დამზადებულია—ხელი როდი უკანკალებთ...

— შესდექით! შესდექით, რას შვრებით!... რას უშვრებით თქვენ მათ!... . . . . .

. . . . . .

ჩემო ძვირფასო—მე წავალ... მე წავალ იქ, სადაც იბადება ელვა, რომ მტერი მოჰკლას. წავალ იქ, სადაც მტერი მარცხდება. წავალ იქ სადაც ვნახავ ჩემი შეყვარებულებისათვის შურის ძიებას.

მე წავალ იქ... უკან მე გზა აღარა მაქვს...

ნუღარ სტირი, დედა! ნუ სტირი ჩემო საცოდავო და მარტოხელა მეგობარო. ნუ იტირებ, გამაგრდი. ეს ასე უნდა მოხდეს. მე წავალ ბრწყინვალე გზით. მე წავალ რომ დავაშრო დედების ცრემლები, რომლებიც დასტირიან თავიანთ შვილებს.

მე გავმაგრდები. ჩემს გულში ნაღველს ადგილს არ მივცემ. შეხედე როგორ მინათებს შორიდან და მეძახის მე... მე მივდივარ... მარა ჩემი სული შენთან დარჩება. იყავი მხნეთ და ყოჩაღათ.

...და ჩემი გზის დასასრულს, აუცილებელი სიკვდილის დღეს, შენ, მშობელს მოგიგონებ ბრწყინვალე ცრემლებით გულში, და შენთან გამოფრინდება უკანასკნელი ამოძახილით ჩემი სული...

განგან.

ჩამომეხსენი!

—

ჩამომეხსენი! ნუ ითხოვ ჩემგან
ჰანგსა შვებისას, სასიხარულოს;
არც რომანსებს ვთხზავ და არც სონეტებს
ვერც არას გიმღერ სასიყვარულოს!

—

სევდიანია ჩემი ღიღინი,
ვითა სიმღერა ობოლ გედისა;
ნაღვლიანია სიმთა ქვითინი
ვით ლოცვის წყება ღვთისა დედისა!

—

წადი, იარე... ტრფობის ბაღნარში
შეხვდები მგოსანს გულის შვებისას;
ის შეგიყვარებს, მოგიალერსებს,
დაგიწნავს გვირგვინს ყვავილებისას.

—

მე კი მძაგს თქვენი
თვალთმაქცი ტრფობა,
თქვენი წეს-რიგი,
თქვენი ზნეობა!

—

ე 1582
1911

ჩემი სატრფო, თავისუფლება,
შარავანდიდით გაბრწყინვებული,
და სამლოცველო მისი ტაძარი,
ძველ სენაკივით მივიწყებული.

მაშ, ნულარ ელი შენი გულის თქმის
ჰანგს დამატკბობელს, სამხიარულოს,
არც რომანსებს ვთხზავ, არც ყვავილებს ვკრეფ,
ვერც არას გიმღერ სასიყვარულოს!

გ. ქუჩიშვილი.

თფილისის ქართულ გიმნაზიაში



ცივი ზამთრის გამო საგზნაურო გიმნაზიის ორთქლ-მახური ფეჩები გაიფიცენ და აღარ მოქმედობენ. ამის გამო მასწავლებელ-მოსწავლენი იძულებულნი არიან თითო ტვირთი შეშა წაიმძღვარონ სკოლაში წასვლის დროს.

ღია წერილები

ო. ი. შმინგისა.

1) პირველი სერია „კავკასიის ტიპები“ დაისამეჯერ.

2) მეორე, ახალი სერია მხოლოდ ახლა დაიბეჭდა და იყიდება ა. ი ბიხოვის სამხატვრო ლიტოგრაფიაში (Тифлисъ. Головинскій просп. 34). ვინც ერთად გამოიწერს, აღნიშნულ ფასებზე ბევრი დააკლდება.

რედაქტორ გამომცემელი ბაიოზ ჯაჭვაძე.

ელექტრომბჭდავი სტამბა ეს. კერესელიძისა გოლოვინის პროსპ. № 43.